

ტურიზმის სექტორის მიმოხილვა

ივლისი 2025
კვარტალური განახლება

ირაკლი ურგებაშვილი
ასოცირებული მკვლევარი, კვლევები

თეა პავლიაშვილი
უმცროსი ანალიტიკოსი, კვლევები

ირინა კვახაძე
უფროსი ვიცე პრეზიდენტი, კვლევები

6 თვე 2025



საერთაშორისო
ვიზიტები

2 810 524

6 თვე 2025

4.6%

წლიური
ცვლილება, %



ტურისტული
ვიზიტები

2 270 363

6 თვე 2025

6.9%

წლიური
ცვლილება, %



ერთდღიანი
ვიზიტები

540 161

6 თვე 2025

-4.2%


წლიური
ცვლილება, %

54%



საშუალო
დატვირთულობა

USD 126



ოთახის საშუალო
ღირებულება

საერთაშორისო ვიზიტები


2025 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტები წლიურად 4.6%-ით, 2.81 მილიონამდე გაიზარდა. აქედან 2.27 მილიონი ტურისტული (წლიური ზრდა +6.9%), ხოლო 0.54 მილიონი (წლიური კლება 4.2%) ერთდღიანი ვიზიტია.

გაანალიზებულ პერიოდში რუსეთს კვლავ ყველაზე დიდი, 21%-იანი წილი უჭირავს ჯამურ ვიზიტებში. მას მოსდევს თურქეთი 19%-ით, ხოლო სამეულს სომხეთი კრავს 14%-იანი წილით.

აღსანიშნავია, რომ სახმელეთო საზღვარი აზერბაიჯანთან კვლავ დახურულია და, შესაბამისად, ვიზიტები აზერბაიჯანიდან შეზღუდული რაოდენობით ხორციელდება. შესაბამისად, ისრაელმა ვიზიტორებში მეოთხე ადგილზე გადმოინაცვლა 6%-იანი წილით, ხოლო აზერბაიჯანის რეზიდენტები 5%-იანი წილით მეხუთე ადგილს იკავებენ.


გრაფიკი 1

საერთაშორისო ვიზიტები ტიპების მიხედვით, მილიონი ვიზიტი



გრაფიკი 2

საერთაშორისო ვიზიტები ძირითადი ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ვიზიტები


2025 წლის პირველ ნახევარში რუსეთიდან 581 ათასი ვიზიტი განხორციელდა, რაც წლიურად 10%-იანი ზრდაა. ვიზიტები თურქეთიდან წლიურად 14%-ით 534 ათასამდე შემცირდა, ხოლო სომხეთიდან მცირედით, 1%-ით, გაიზარდა და 391 ათასს მიაღწია. ევროკავშირის ქვეყნები და გაერთიანებული სამეფო მეოთხე ყველაზე მსხვილი ბაზარია 202 ათასი ვიზიტითა და წლიურად 10%-იანი ზრდით.

მიუხედავად ისრაელიდან გაუქმებული ფრენებისა, ვიზიტები ისრაელიდან წლიურად 36%-ით 171 ათასამდე გაიზარდა. მსგავსი სიტუაციაა აზერბაიჯანთან


მიმართებითაც - დახურული სახმელეთო საზღვრის მიუხედავად, ვიზიტები აზერბაიჯანიდან წლიურად 36%-ით 135 ათასამდე გაიზარდა.

ინდოეთი, ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ბაზარი საქართველოსთვის წლიურად 31%-იან ზრდას აჩვენებს. ინდოეთიდან მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 76 ათასი ვიზიტი განხორციელდა. მაღალი ზრდაა ჩინეთის შემთხვევაშიც - წლიური 42% ზრდა და 47 ათასი ვიზიტი.

გრაფიკი 3 საერთაშორისო ვიზიტები ძირითადი ბაზრების მიხედვით, '000



გრაფიკი 4 საერთაშორისო ვიზიტები შერჩეული ქვეყნების მიხედვით, '000



შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,971 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც წლიურად 3.8%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. მხოლოდ მეორე კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,145 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 5%-ით მეტი, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში.


რუსეთს კვლავ ყველაზე მსხვილი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში - 308 მილიონი აშშ დოლარი 2025 წლის პირველ ნახევარში,

თუმცა, მაჩვენებელი წლიურად 19%-ითაა შემცირებული.


ევროკავშირი და გაერთიანებული სამეფო მეორე ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორები არიან 277 მილიონი აშშ დოლარით, ეს მაჩვენებელი კი წლიურად 12%-ით არის გაზრდილი.

შთამბეჭდავი ზრდა აქვს ისრაელის რეზიდენტებს - მათ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 242 მილიონი აშშ დოლარის დანახარჯი გასწიეს, რაც წლიურად 38%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

გრაფიკი 5 შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან, მლნ. აშშ დოლარი



გრაფიკი 6 შემოსავლების განაწილება ქვეყნების მიხედვით, მლნ. აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, თიბისი კაპიტალი;

შენიშვნა: ბელორუსის, უკრაინის და რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ 1 წელზე მეტი დროით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ითვლებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათ მიერ განხორციელებული ხარჯები არ შედის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში.

ტურიზმი: კვარტალური განახლება | ივლისი 2025

საქართველოს სასტუმროები


2025 წლის პირველ ნახევარში სასტუმროს ნომრის საშუალო ღირებულება მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში წლიურად თითქმის არ შეცვლილა. საშუალო ღირებულებამ 126 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მცირედით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო თითქმის უტოლდება 2023 წლის მაჩვენებელს.

2025 წლის პირველ ნახევარში საშუალო დატვირთულობა მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში 54%-ს გაუტოლდა, რაც 4 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოს მასშტაბით, დატვირთულობის მხრივ სიტუაცია, მეტწილად, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გაუმჯობესდა.

გრაფიკი 7

სასტუმროს ნომრის საშუალო ღირებულება მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში, აშშ დოლარი (დღგ-ს გარეშე)


■ 2023 ■ 2024 ■ 2025



გრაფიკი 8

საშუალო დატვირთულობა მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში

■ 2023 ■ 2024 ■ 2025




უნაღდო დანახარჯები


არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები სასტუმროებში, თიბისი ბანკის არხებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში სტაბილურ ზრდას აჩვენებს. როგორც მონაცემები აჩვენებს, არარეზიდენტები, რეზიდენტებთან შედარებით, სასტუმროებში დაახლოებით სამჯერ მეტს ხარჯავენ.

არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯების შედარებით მაღალი ზრდაა რესტორნებში, თიბისი ბანკის არხებით. ამ შემთხვევაში არარეზიდენტების საშუალო დანახარჯი რეზიდენტების საშუალო ხარჯს დაახლოებით ხუთჯერ აღემატება.

გრაფიკი 9 უნაღდო დანახარჯები სასტუმროებში თიბისი ბანკის არხებით



გრაფიკი 10 უნაღდო დანახარჯები რესტორნებში თიბისი ბანკის არხებით



წყარო: თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ები), პარტნიორ(ები), თანამშრომელ(ები), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ები) ან აგენტ(ები) („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამოწვეული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებები მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში შემოსხვნილებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს ამკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამგებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაცია. შესაძლოა მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას შესაძლო პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველაზე მაღალ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



თბილისი კაპიტალი

www.tbccapital.ge